პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აპრილი 2017 წელი

ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, აეროპორტის დასახლებაში უსახელო ქუჩებისთვის მათთან არსებული შესახვევისთვის და გასასვლელისთვის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) სამგორის რაიონში, აეროპორტის დასახლებაში უსახელო ქუჩას, მასთან არსებულ შესახვევს და გასასვლელს ინჟინერის, კონსტრუქტორისა და მფრინავის მიენიჭოს ლუი ბლერიოს სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) სამგორის რაიონში, აეროპორტის დასახლებაში უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ შესახვევს მიენიჭოს სამხედრო მფრინავის ჯიმშერ (ჯიმი) მაისურაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

გ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


X:495,817.199
Y:4,614,985.775
X:495,639.616
Y:4,614,956.857
I შეს.
ლუი ბლერიოს ქ.
X:495,812.715
Y:4,614,845.548
I გას.
X:495,641.589
Y:4,614,846.198
ჯიმშერ (ჯიმი) მაისურაძის ქ.
X:495,843.506
Y:4,614,817.539
X:496,058.479
Y:4,614,825.274
X:495,643.636
Y:4,614,722.759
ჯიმშერ (ჯიმი) მაისურაძის ქ.
X:495,548.740
Y:4,614,698.375
I შეს.
X:495,639.509
Y:4,614,702.915
X:495,830.294
Y:4,614,730.534
X:495,560.349
Y:4,614,702.442
ლუი ბლერიოს ქ.
X:495,635.847
Y:4,614,646.709
X:495,526.757
Y:4,614,671.849

02/780

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ლია ჯახველაძეს

02/781

მოქ. ლიალი პაიჭაძე

მცხ. ქ. თბილისი ალექსანძრის ქუჩა 44/20

ტელ. 555.01.33.99

პირადი: 01028001967

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ვთხოვთ ქუჩას მიანიჭოთ სახელი.

სასურველი სახელი (01.19.25.008.023)

განმცხადებელი:

ლ. პაიჭაძე

17054

22 სექტემბერი 16

02/781

02/780

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ლია ჯახველაძეს

მოქ. სვეტლანა კინწურაშვილი

მცხ. ქ.თბილისი, აღმაშენებლის 111ის კიბე

ტელ. 593 53 63 99

პირადი: 01032000866

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ვითხოვთ ჩემს მიმართვა სახელი.
საკადასტრო კოდი (01.19.25.008.020)

კანონსაგანლი.

ს. კინწურაშვილი

22.09.20016 წ.

17052
22 სექტემბერი 16

02/Y 86

491

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ქ-ნ. ლია ჯახველაძეს

ქ-ნ. თამარ ტალიაშვილს

შესაბამისი რეაგირებისთვის.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი *გიორგი ტყემალაძე*

03/1250

საქართველოს
მთავრობის ადმინისტრაცია

ADMINISTRATION
OF THE GOVERNMENT OF GEORGIA

საქართველოს აეროპორტების გაერთიანებას

ასლი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ასლი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ასლი: ბ-ნ გიორგი ქებურიას

მის: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N75, კორპ. 8, ბინა 44

გეგზავნებათ საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელზე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში მ.წ. 14 იანვარს შემოსული მოქალაქე გიორგი ქებურიას N1334 განცხადება.

დანართი: 3 ფურცელი

პატივისცემით,

საქმისწარმოების სამსახურის

უფროსი

ლევან ერრიქაშვილი

1937

21/01/2016

03/1250

"25"

საქართველოს პრემიერ–მინისტრს,

ბატონ გიორგი კვირიკაშვილს

1910 წლის 24 ოქტომბერს გადაიშალა საქართველოს ავიაციის ისტორიის პირველი ფურცელი, თბილისელებმა პირველად იხილეს ცაში აეროპლანი, რომელსაც მართავდა პარიზის აეროკლუბის № 210 პილოტ–ავიატორის დიპლომის მფლობელი, ბესარიონ ქებურია. 2013 წელი საიუბილეო წელია, რადგანაც 100 წლის წინ ბესარიონ ქებურიამ, როგორც პირველმა ქართველმა ავიატორ–კონსტრუქტორმა, დაიპყრო საქართველოს ცა საკუთარი კონსტრუქციის მონოპლანით (რომელიც, პროპელერის ჩათვლით, მისი ხელით იყო აგებული და რომლითაც შემდგომში საჩვენებელი ფრენები მოაწყო სოხუმიდან სენაკში, სენაკიდან ფოთში და ფოთიდან ბათუმში.

ბ. ქებურია, როგორც საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ერთ–ერთი ფუძემდებელი, წარმომადგენლობდა სააქციო საზოგადოება „ზაკავიას" უმაღლეს სტრუქტურებში. მისი ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით აშენდა აეროდრომები, გახსნილ იქნა პირველი მარშრუტები თბილისი–ბაქო, თბილისი–სოხუმი, თბილისი–მოსკოვი და ა.შ.

1930 წელს ჩამოყალიბებულ სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს მან შენობა დაახვედრა, რისთვისაც რუსთაველის გამზირზე (ოპერის პირდაპირ) ორი სართული დააშენა. შემდგომში მოღვაწეობდა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშეწყობის ნებაყოფლობით ორგანიზაციაში და მრავალი ახალგაზრდა მიიზიდა ავიაციის რიგებში ლექციებითა და პირადი ავტორიტეტით.

სამამულო ომის დროს მან მოხალისეების დახმარებით აეროდრომი გააშენა მშობლიურ ჩხორიწყუში. მას პირველს საბჭოთა კავშირში მიენიჭა დამსახურებული მფრინავის წოდება.

2005 წელს საქართველოს საზოგადოების გამოჩენილი მოღვაწეების წინადადებით ქალაქ თბილისის აეროპორტს (რომელიც მსოფლიო

№ 1334

კლასიფიკაციაში ცნობილი იყო, როგორც ალექსეევკის აეროპორტი) უნდა დარქმეოდა ბესარიონ ქებურიას სახელი, მაგრამ ამის ნაცვლად იგი ეწოდა ალექსეევკის დასახლებას . საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ჩამოყალიბებაში და მსოფლიო ავიაციის განვითარებაში შეტანილი წვლილის აღსანიშნავად მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

1) ქალაქ სენაკის აეროპორტს დაერქვას ბესარიონ ქებურიას სახელი.

2) 7 დეკემბრისათვის, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის დღისათვის, გამოცემულ იქნას ქართულ–ინგლისურ ენოვანი ბუკლეტი, რომელიც ასახავს სახელოვანი მამულიშვილის მოღვაწეობას.

3) აღდგენილ იქნას ფრინველ ფენიქსის სიმბოლური ფიგურა, რომელიც ამშვენებდა ქებურიას მეგლს აეროპორტში

4) დასახლება ალექსეევკას მიენიჭოს ლეგენდარული ლუი ბლერიოს სახელი, რომლის საფრენოსნო სკოლა დაამთავრა მოგვიანებით ხუთმა ქართველმა.

თანაავტორი წიგნისა (აკადემიკოს სერგო ტეფნაძესთან) „ცის დაპყრობის ისტორია –ოცნებიდან რეალობამდე“,

ეროვნული პრემიის ლაურეატი

გიორგი (გუგული) ქებურია

595 57 41 94ი.ჭაჭავაძის 75 კორპ.8 ბინა 44

ლუი ბლერიო

(1872 - 1936)

ინჟინერი, კონსტრუქტორი, მფრინავი

ლუი ბლერიო ფრანგი ინჟინერი, თვითმფრინავების კონსტრუქტორი და პილოტი, იყო ავიაციის ერთ-ერთი პიონერი. 1900 წლიდან დაიწყო პლანერებისა და ირნიტოპტერების აგება, 1906 წლიდან კი თვითმფრინავების აგება. 1909 წელს პირველმა გადაუფრინა ლა-მანშის სრუტეს. ბლერიოს სისტემის თვითმფრინავები შემდგომ ფართოდ გავრცელდა საფრანგეთის ავიაციაში. მოგვიანებით მისი საფრენოსნო სკოლა დაამთავრა ხუთმა ქართველმა მფრინავმა.

ჯიმშერ (ჯიმი) მაისურაძე

(1949-1992)

სამხედრო პილოტი, სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით, დაიღუპა აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში. მეტსახელად „შავი გენერალი“,

ჯიმი მაისურაძე 1949 წლის 3 თებერვალს, ლაგოდეხის რაიონში, სოფელ გიორგეთში დაიბადა. მომავალ მფრინავს მე-7 კლასში მისი კუმირის, ოთარ ჩეჩელაშვილის წიგნი წაუკითხავს და გადაუწყვეტია, მფრინავი გამოსულიყო.

ჯიმი მაისურაძე ავღანეთში, სამაჩაბლოსა და აფხაზეთში იბრძოდა. მისი ვერტმფრენის ჩამოგდებისთვის აფხაზ სეპარატისტებს ჯილდოდ ათასობით მანეთი ჰქონდათ დაწესებული. 1992 წლის 26 დეკემბერს, მდინარე კოდორის ხეობაში საბრძოლო ვერტმფრენი პატრულირებდა. აფხაზეთის კონტროლირებად ტერიტორიიდან საარტილერიო ქვემეხის ხმა გაისმა. ლესელიძესა და ვლადიმირის ტერიტორიაზე განთავსებულ სასაფლაოსთან ვერტმფრენი ჩამოვარდა, საიდანაც მეომრებმა მფრინავი-პილოტი გადმოიყვანეს. მისი გადარჩენის შანსი არ არსებობდა. ის ჯიმი მაისურაძე გახლდათ…

პილოტის მეგობარმა მის საფლავზე ერთ-ერთი საბრძოლო ვერტმფრენი დასვა. და ვერტმფრენი დღესაც იქ დგას.

ჯიმი მაისურაძე დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.